



VANDETANIB - CAPRELSA®

რა არის CAPRELSA-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ვანდეტანიბი	100 მგ ტაბლეტი: თეთრი, მრგვალი 300 მგ ტაბლეტი: თეთრი, ოვალური 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთხელ, ყოველდღე.

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანი, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების ან გატეხვის გარეშე. ტაბლეტების გახსნა შესაძლებელია ნახევარ ჭიქა უგაზო წყალში 10 წუთის განმავლობაში მორევის გზით. დალიეთ დაუყოვნებლივ. გადაავლეთ ჭიქას წყალი და დალიეთ გადავლებული წყალი.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს. კვების განმავლობაში ან კვების გარეშე.

დავინყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთხელ დღეში, ერთსა და იმავე დროს, საკვებთან ან მის გარეშე	  									
უნწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7	...	 დ28	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო მოითხოვს. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი ფარისებრი ჯირკვლისა და ღვიძლის ფუნქციების მონიტორინგისთვის და იონოგრამა) და კლინიკურ მეთვალყურეობას (ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

CAPRELSA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას, გრეიფრუტს, ბოლდოს, ფუკუსს, აზიურ ჟენშენს, სევილიურ ფორთოხალს,



პასიფლორას, ბაბუნჯერას, გინკგო ბილობას, თავისარას, ძირტბილას, იოჰიმბეს მიღებას CAPRELSA®-თან.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: დიარეა, გულისრევა, მადის დაკარგვა, ღებინება, მჟავა რეფლუქსი კანის დაავადებები: გამონაყარი, მზის მგრძნობელობა, აკნე, ქავილი, სიმშრალე, ფრჩხილების ანომალიები ტკივილი: დაღლილობა, თავის ტკივილი, ტკივილები ინფექციები: ფარინგიტი, სინუსიტი, რინიტი, საშარდე გზების ინფექცია და ა.შ ზოგადი: ძილის დარღვევები, დაღლილობა, განწყობის დარღვევები, შეშუპება თვალის პრობლემები: მხედველობის დარღვევები გულის ფუნქციის დარღვევები: მათ შორის ჰიპერტენზია
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო ჯგუფს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები სუნთქვის უკმარისობა, გულის აჩქარება, წნეხი გულმკერდის არეში ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტი კუჭში გასვლა კუჭის ძლიერი ტკივილი 24 საათის განმავლობაში დაღვევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში წამის შეუძლებლობა სისხლდენის მაჩვენებელი სიმპტომები სისხლი განავალში ან ღებინების შემთხვევაში ჰემატომები (ჩალურჯებები), ცხვირიდან სისხლდენა ფილტვების არეში დარღვევები დიდხნიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გაართულება კანის დარღვევები: დიდი ბუშტუკების გაჩენა კანზე ან კანის მნიშვნელოვანი აქერცვლა თავის ტვინის შეშუპებაზე მიმანიშნებელი სიმპტომები თავის ტკივილები, დაბნეულობა, კრუნჩხვები ან მხედველობის დარღვევები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების ან შეშუპების (კიდურების შებერილობის) დროს.
კანის მოვლა	ხელებსა და ფეხებზე: წაისვით ხელებსა და ფეხებზე დამატენიანებელი კრემი ან რძე და/ან შემახორცებელი კრემი (ძლიერი შეზღუდვის გარეშე). მოერიდეთ ხელებისა და ფეხების სიცხესთან (ცხელ წყალთან) შეხებას. მოერიდეთ ხახუნის ან წყლულების გამომწვევ აქტივობებს და მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმლის, წინდებისა და ფეხსაცმლის ტარებას.
	სხეული: უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების



	გამოყენებას.
მზისგან დაცვა	აუცილებელია. გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას (SPF 50). უპირატესობა მიანიჭეთ ტანსაცმელს, რომელიც ფარავს თქვენს სხეულს: გრძელმკლავიანი და ყელიანი, გრძელი შარვალი და ქუდი.
ფრჩხილები	მოერიდეთ ფეხისა და ხელის ფრჩხილების დაზიანებას. მოერიდეთ ფრჩხილის ლაქს, გარდა იმ (დამცავი) ლაქისა, რომელიც გირჩიათ სამედიცინო გუნდმა. უპირატესობა მიანიჭეთ ფრჩხილების სწორად და არა ზედმეტად მოკლედ დაჭრას.
სისხლდენა / სისხლჩაქცევები	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) მიღებას აცნობეთ თქვენს ექიმს: > თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანტიაგრეგანტულ პრეპარატებს: საჭიროა მკაცრი მონიტორინგი > ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევისას
ინფექცია	რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა : ის თქვენ დაგიცავთ.
შეშუპებები	მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელს ააწყვეთ ფეხები სიმაღლეზე. გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დღიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია მიირთვათ სახამებლის შემცველი საკვები, სტაფილო, ბანანი. მოერიდეთ უმი ხილისა და ბოსტნეულის, რძის პროდუქტების, ყავის და ალკოჰოლის მიღებას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
მჟავა რეფლუქსი	მოერიდეთ გარკვეულ რისკ-ფაქტორებს: ალკოჰოლს, თამბაქოს, ყავას, დიდი რაოდენობით და ცხიმოვან საკვებს. უპირატესობა მიანიჭეთ ფრაქციულ კვებას
მადის დაკარგვა	უპირატესობა მიანიჭეთ უფრო კალორიულ საკვებს და „გემრიელ კვებას“.